ხელშეკრულება სახელმწიფო
შესყიდვების შესახებ N4

ქ. თბილისი 16 იანვარი, 2020 წელი

ერთის მხრივ, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა (შემდგომში – „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის გიორგი კეკელიძის სახით და მეორეს მხრივ, ი/მ გიორგი ჩოხელი (შემდგომში – „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი გიორგი ჩოხელის სახით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისათვის საკვების მიწოდების მომსახურების (CPV- 55300000) გაწევა დანართი №1 შესაბამისად.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 150 (ას ორმოცდაათი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს, მათ შორის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი

3.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას გაუწიოს შემსყიდველს კაფეტერიით მომსახურება 2020 წლის 20 იანვარს.

3.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ლადო გუდიაშვილის ქ.N5.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

4.2. მომსახურების გაწევა დასტურდება მხარეთა მიერ ხელმოწერილი შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის საფუძველზე.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტაციის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

5.2. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შემოწმებას, მიღება-ჩაბარებას და შესაბამის საანგარიშსწორებო დოკუმენტაციაზე ხელმოწერას ახორციელებს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო მომსახურებისა და ინფორმაციის დეპარტამენტის სანოტო და აუდიოვიზუალური გამოცემებით მომსახურების განყოფილების უფროსი - დავით შუღლიაშვილი.

უფლებამოსილი პირი _____

6. მხარეთა უფლება– მოვალეობები

6.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

– მიმწოდებლისაგან მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობის დაცვა;

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:

–მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

6.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

– მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება;

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

– დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

7.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2020 წლის 24 თებერვლის ჩათვლით.**

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

8.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1 %–ის ოდენობით.

9. ფორს– მაჟორი

9.1. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელიც არ არის დაკავშირებული
შემსყიდველის და ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი;

9.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომელისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

10.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების

შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება;

11.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით;

11.3. ხელშეკრულებაში დამატებების ან/და ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით;

11.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად;

11.5. ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას; მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე შეატყობინოს მეორე მხარეს;

11.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

12. ინტერესთა კონფლიქტი

12.1. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი და უფლებამოსილი პირი, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერებით ადასტურებენ, რომ მათი მონაწილეობა აღნიშნულ შესყიდვაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

13. სხვა პირობები

13.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო მეორე-შემსყიდველს.

14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა
ქ. თბილისი, ლადო გუდიაშვილის ქ. №7
ტელ: 297 16 61
ს/კ: 203845018
სახელმწიფო ხაზინა,
ანგ. №200122900

მიმწოდებელი

ი/მ გიორგი ჩოხელი

ქ.თბილისი, დიღმის მასივი, მე-2 კვ.
მე-11 კორპ.
ს/კ:01011022854
სს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგ. №GE59TB7206445064300007

გენერალური დირექტორი

გიორგი კეკელიძე

ინდ. მეწარმე

გიორგი ჩოხელი

THE NATIONAL PARLIAMENTARY LIBRARY OF GEORGIA

Digitally signed by THE NATIONAL PARLIAMENTARY LIBRARY OF GEORGIA
Date: 2020.01.16 14:14:21 +04'00'

დანართი N1

დასახელება	ერთეულის ფასი (ლარი)	რაოდენობა	დღეების რაოდენობა	საერთო თანხა (ლარი)
თხილის ასორტი	2.5	30	1 დღე	75.00
ჩირი, ჩურჩხელა	2.5	30	1 დღე	75.00
			სულ ჯამი	150.00

გენერალური დირექტორი

_____

გიორგი კეკელიძე

ინდ. მეწარმე

_____

გიორგი ჩოხელი